




შპს „საქართველოს მელიორაცია“

წლიური ანგარიში
(ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა, მმართველობის ანგარიში)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე.....	3
დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. ძირითადი საშუალებები	20
4. გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	21
5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	22
6. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო).....	22
7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები.....	22
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	23
9. სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები	23
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.....	23
11. ანარიცხები	23
12. მოკლევადიანი სესხები	23
13. ამონაგები	24
14. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	24
15. სხვა მოგება (ნეტო)	25
16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	25
17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები	25
18. ფინანსური რისკების მართვა.....	26
19. კაპიტალის მართვა.....	28
20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	28
21. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა მეფასების კატეგორიების მიხედვით	28
22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29
მმართველობის ანგარიში	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს მელიორაციის“ დამფუძნებლებს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე**პირობითი მოსაზრება**

ჩვენ განვახორციელეთ შპს „საქართველოს მელიორაციის“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- ადწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

(თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ საწინააღმდეგო არ იქნა მინიშნებული ტექსტში)

ძირითადი საშუალებები გაუფასურება - კომპანიას ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მიზნით დანერგილი აქვს გადაფასების მეთოდი. პროფესიული საშემფასებლო კომპანიის მიერ ბოლო შეფასება შესრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩათვლილი იყო „სპეციალიზირებულ აქტივებად“ და მათი შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული იყო ეგრეთ წოდებული „ამორტიზირებული ჩანაცვლების თვითღირებულების მეთოდი“ (ფასს 13- რეალური ღირებულების შეფასების მიხედვით მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები), შეფასების პროცესი მოიცავდა ამ აქტივების ეკონომიური ცვეთის (გაუფასურების ტესტირებას) გაანგარიშებას. ეკონომიური ცვეთის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიის შემოსავლები, ერთად-ერთი ფულის მაგენერირებელი ერთეულის მიხედვით, ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზირებული აქტივების (ეკონომიურ ცვეთამდე) შეფასებული ღირებულების ამოღებადობას, შედეგად, ყველა ასეთი აქტივი საბოლოოდ შეფასდა მათი სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე. 2021-2024 წლებში კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი დამატებები ძირითად საშუალებებში, რომელთაგან ნაწილისათვის, კერძოდ - შენობა-ნაგებობებისათვის, კომპანიამ სრულად აღიარა გაუფასურების ზარალი. ამ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი ბასს-36 - „აქტივების გაუფასურება“ სტანდარტით მოთხოვნილი მსჯელობები და მტკიცებულებები, აგრეთვე, შესაბამისი აქტივების შესაძლო სალიკვიდაციო ღირებულებების ანალიზი. იმის გათვალისწინებით რომ წინა შეფასების პროცესში გაანგარიშებული კომპანიის ფულის მაგენერირებელი ერთეულები ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზირებული აქტივების (ეკონომიურ ცვეთამდე) შეფასებული ღირებულების ამოღებადობას, სახეზე გვაქვს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამ ფაქტის გამო კომპანიაში უნდა ჩატარებულიყო ამავე სტანდარტის მიხედვით 2024 წელს

დამატებული აქტივების გაუფასურების ტესტირება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებათა შეტანა 2024 წელს დამატებული ძირითადი საშუალებების ზემოაღნიშნულ თანხებთან და 2024 წლის სრულ შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ასახვა და შესაბამისი მოძრაობის ასახვა რეზერვებში - კომპანია ძირითად საშუალებებს ასახავს გადაფასებული ღირებულებით. უკანასკნელი გადაფასება ჩატარდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული გადაფასებასთან ასახვასთან დაკავშირებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ ვერ მოიპოვა თითოეული აქტივის ღირებულება გადაფასებამდე აქტივების ნარჩენი ღირებულების ამსახველი ინფორმაცია შედეგად თითოეული აქტივის ღირებულება ჩამოფასება გატარდა პირდაპირ აკუმულირებულ ზარალზე ასახვით, ხოლო აფასება - გადაფასების რეზერვში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირებათა შეტანა 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაფასების რეზერვისა და დაუფარავი აკუმულირებული ზარალის მუხლებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.29-ე პენიშნის - **საწარმოს უწყვეტობის პრინციპი** - ნაწილზე, რომელიც ასახავს რომ: „კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის წარდგენილი აკუმულირებული და პერიოდის ზარალი, შესაბამისად შეადგენს 878,871 და 28,510 ათას ლარს. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დამფუძნებლის-სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია ქვეყნის რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რგოლია, მისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს მელიორაციის ინფრასტრუქტურაში სტრატეგიულ ინვესტიციებს, ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2025 წლის 27 ივნისით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშს (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 30-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულახდილად ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 27 ივნისით დათარიღებულ მმართველობის ანგარიშსზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 30-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობის ანგარიშის (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ბესიკ ბისეიშვილი წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 27 ივნისი

თბილისი, საქართველო

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	77,909	75,535
არამატერიალური აქტივები		99	121
გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	4	5,417	12,264
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,425	87,920
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	5,359	3,748
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	6	524	612
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	7	3,825	4,033
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	31,624	35,973
სულ მოკლევადიანი აქტივები		41,332	44,366
სულ აქტივები		124,757	132,286
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		924,438	904,133
გადაფასების რეზერვი		4,820	4,820
აკუმულირებული ზარალი		(878,871)	(852,852)
სულ საკუთარი კაპიტალი		50,387	56,101
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	9, 16	54,935	56,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		54,935	56,086
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	5,281	6,780
ანარიცხები	11	898	830
მოკლევადიანი სესხები	12	13,256	12,489
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,435	20,099
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		124,757	132,286

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	77,909	75,535
არამატერიალური აქტივები		99	121
გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	4	5,417	12,264
სულ გრძელვადიანი აქტივები		83,425	87,920
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5	5,359	3,748
სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	6	524	612
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	7	3,825	4,033
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8	31,624	35,973
სულ მოკლევადიანი აქტივები		41,332	44,366
სულ აქტივები		124,757	132,286
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		924,438	904,133
გადაფასების რეზერვი		4,820	4,820
აკუმულირებული ზარალი		(878,871)	(852,852)
სულ საკუთარი კაპიტალი		50,387	56,101
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	9, 16	54,935	56,086
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		54,935	56,086
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	5,281	6,780
ანარიცხები	11	898	830
მოკლევადიანი სესხები	12	13,256	12,489
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,435	20,099
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		124,757	132,286

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2023 დასრულებული წლისთვის
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები	13	6,996	6,361
საოპერაციო ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(25,993)	(22,282)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,305)	(2,452)
სატუმბი სადგურების ელ.ენერგიის მოხმარების ხარჯი		(4,812)	(6,221)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი		(3,755)	(3,578)
საწვავი		(2,705)	(2,862)
გამოყენებული მასალები		(1,754)	(1,589)
საეჭვო ვალების ხარჯი		(1,329)	(1,727)
საგადასახადო ხარჯი და საგადასახადო პროვიზენი		(753)	(704)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(348)	(301)
მონაცემთა ბაზის და სერვერზე ინფორმაციის განთავსების ხარჯი		(54)	(48)
მივლინების ხარჯი		(272)	(357)
დაცვა		(329)	(272)
კომუნიკაციის ხარჯი		(84)	(84)
სხვა ხარჯი		(957)	(817)
ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	14	2,964	3,369
სხვა მოგება (ნეტო)		7,980	3,288
მიმდინარე წლის ზარალი		(28,510)	(30,276)
სულ სხვა სრული შემოსავლი		-	-
წლის სრული ზარალი		(28,510)	(30,276)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31.12.2024	31.12.2023
	მენიშვნა	დასრულებული წლისათვის	დასრულებული წლისათვის
საოპერაციო შემოსავლები:			
ამონაგები	13	6,996	6,361
საოპერაციო ხარჯები:			
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(25,993)	(22,282)
ცვეთა და ამორტიზაცია		(3,305)	(2,452)
სატუმბი სადგურების ელ.ენერგიის მოხმარების ხარჯი		(4,812)	(6,221)
ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯი		(3,755)	(3,578)
საწვავი		(2,705)	(2,862)
გამოყენებული მასალები		(1,754)	(1,589)
საექვო ვალების ხარჯი		(1,329)	(1,727)
საგადასახადო ხარჯი და საგადასახადო პროვიზენი		(753)	(704)
ტექნიკური მომსახურების ხარჯი		(348)	(301)
მონაცემთა ბაზის და სერვერზე ინფორმაციის განთავსების ხარჯი		(54)	(48)
მივლინების ხარჯი		(272)	(357)
დაცვა		(329)	(272)
კომუნიკაციის ხარჯი		(84)	(84)
სხვა ხარჯი		(957)	(817)
ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	14	2,964	3,369
სხვა მოგება (ნეტო)		7,980	3,288
მიმდინარე წლის ზარალი		(28,510)	(30,276)
სულ სხვა სრული შემოსავლი		-	-
წლის სრული ზარალი		(28,510)	(30,276)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,891	5,017
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(11,596)	(8,655)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება	(21,896)	(19,008)
ოპერირებიდან გასული ფულადი სახსრები ნეტო	(27,601)	(22,646)
საპროცენტო შემოსავალი	3,660	4,107
საოპერაციო საქმიანობით გასული ნეტო ფულადი სახსრები	(23,941)	(18,539)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(44,118)	(51,437)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	1,839	1,526
საინვესტიციოდ გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(42,279)	(49,911)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან (შენიშვნა 16)		
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები	62,000	77,000
ფინანსური საქმიანობისთვის წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	62,000	77,000
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(4,220)	8,550
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(129)	(101)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	35,973	27,524
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	31,624	35,973

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი




ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისთვის	31.12.2024 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	5,891	5,017
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები და გადახდილი გადასახადები	(11,596)	(8,655)
თანამშრომლებზე გადახდილი ანაზღაურება	(21,896)	(19,008)
ოპერირებიდან გასული ფულადი სახსრები ნეტო	(27,601)	(22,646)
საპროცენტო შემოსავალი	3,660	4,107
საოპერაციო საქმიანობით გასული ნეტო ფულადი სახსრები	(23,941)	(18,539)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(44,118)	(51,437)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	1,839	1,526
საინვესტიციოდ გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(42,279)	(49,911)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან (პენიშვნა 16)		
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები	62,000	77,000
ფინანსური საქმიანობისთვის წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	62,000	77,000
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(4,220)	8,550
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(129)	(101)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	35,973	27,524
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	31,624	35,973

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	887,678	4,820	(829,356)	63,142
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	26,268	-	-	26,268
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	(9,813)	-	6,780	(3,033)
წლის სრული ზარალი	-	-	(30,276)	(30,276)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	904,133	4,820	(852,852)	56,101
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	22,588	-	-	22,588
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	(2,283)	-	2,491	208
წლის სრული ზარალი	-	-	(28,510)	(28,510)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	924,438	4,820	(878,871)	50,387

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი




შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	887,678	4,820	(829,356)	63,142
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	26,268	-	-	26,268
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	(9,813)	-	6,780	(3,033)
წლის სრული ზარალი	-	-	(30,276)	(30,276)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	904,133	4,820	(852,852)	56,101
კაპიტალის ზრდა არაფულადი შენატანით	22,588	-	-	22,588
კაპიტალის შემცირება არაფულადი ფორმით	(2,283)	-	2,491	208
წლის სრული ზარალი	-	-	(28,510)	(28,510)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	924,438	4,820	(878,871)	50,387

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს საქართველოს მელიორაცია დაარსდა 2007 წლის 26 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით 204524568, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს შპს სიონი-მ-ის სამართალმემკვიდრეს, რომელიც 2012 წლის 16 მარტს, გაერთიანდა სამ სხვა და სხვა კომპანიასთან, შპს მტკვარი-მ თან, შპს ალაზანი-მ თან და შპს კოლხეთი-მ თან.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის შპს საქართველოს მელიორაციის 100% წილის მმართველი არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს სახელმწიფოს, როგორც 100% წილის მფლობელი პარტნიორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საირიგაციო და სადრენაჟო წყლის მიწოდება ქვეყნის მასშტაბით. სერვისების მიწოდებას ახორციელებს 19 სერვის-ცენტრის მეშვეობით, რომლებიც ოთხ რეგიონად არის წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი და დასავლეთ საქართველო). კომპანია მართავს, ჰიდრო ნაგებობებს და სპეციალურ სამელიორაციო სისტემებს, რომელიც ძირითადად შედგება სხვადასხვა ჰიდრაულიკურ-ტექნიკური ნაწილებისგან, მთავარი წყლის გამანაწილებელი ხაზების, გვირაბების, სადრენაჟო არხებისგან და სხვა.

დამატებით, სადრენაჟო და საირიგაციო მომსახურების გარდა, კომპანია ასევე ყიდის ტექნიკურ წყალს კერძო სექტორზე.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. საჯარო რეესტრის მონაცემებით კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი, N 1.

2. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 საადრიცხო პოლიტიკის ცვლილება და ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან) ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავისუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულებების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიშნებები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვასა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამყიდველი მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილების მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომელზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახადელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელზეც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესაძარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭო ათავისუფლებს სუბიექტებს შესაძარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 21-ის ცვლილებები - გაცვლის შეუძლებლობა (ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან). 2023 წლის აგვისტოში IASB-მა გააუმჯობესა ბასს 21 და დამატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). 2024 წლის 30 მაისს IASB-მა გამოუშვა ფასს 9-ისა და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტების მიზნობრივი ცვლილებები, რათა უპასუხოს პრაქტიკაში გაჩენილ ახალ შეკითხვებს და შეიტანოს ახალი მოთხოვნები არა მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტებისთვის, არამედ კორპორაციული საწარმოებისათვის. ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შესაბამემა თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

მეორე პუნქტში მოცემული განახლებები მეტწილად შეესაბამება ფინანსურ ინსტიტუტებს, ხოლო დანარჩენ პუნქტებში მოცემული ცვლილებები ყველა საწარმოსათვის რელევანტურია.

ფასს 9-ისა და ფასს-ის ცვლილებები ეფექტური იქნება წლიური ანგარიშგების პერიოდებისათვის და ძალაში შევა 2026 წლის 1 იანვრიდან ან მოგვიანებით.

ფასს 18, პრეზენტაცია და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). ახალი სტანდარტი ანაცვლებს ბასს 1-ს და ორიენტირებულია მოგება-ზარალის უწყისის განახლებებზე.

ფასს 18-ში წარდგენილი ძირითადი საკითხები ეხება:

- მოგება-ზარალის უწყისის სტრუქტურას
- მოგება-ზარალის უწყისში ხარჯების პრეზენტაციისათვის ყველაზე გამოსადეგი სტრუქტურის განსაზღვრას.
- საჭირო განმარტებით შენიშვნებს ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც შეეხება გარკვეული მოგების ან დანაკარგის შესრულების ზომებს, რომლებიც წარმოდგენილია კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების გარეთ (მენეჯმენტით განსაზღვრული შესრულების ზომებით).
- გაფართოებულ პრინციპებს აგრეგაციისა და დისაგრეგაციის შესახებ, რომლებიც ვრცელდება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 19-დედა კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან). მოცემული ახალი სტანდარტი მუშაობს ფასს-ის სხვა სტანდარტებთან ერთად. შესაფერისი შვილობილი კომპანია ატარებს ანგარიშგების სტანდარტებში არსებულ ფასს-ის სხვა მოთხოვნებს, განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების გარდა და იყენებს შემცირებულ განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნებს. ფასს 19 წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს შესაფერისი შვილობილი კომპანიებისათვის.

შვილობილი კომპანია შესაფერისია თუ:

- არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.
- ჰყავს ძირითადი ან შუამავალი დედა კომპანია, რომელიც აწარმოებს ფასს-ის სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2.3 შემოსავლის აღიარება.

გაყიდული მომსახურება აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს და ფასდათმობის გარეშე.

2.4 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და ასევე ის აქტივები რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველიურ ტესტირებას. ეს აქტივები რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას, მაშინ როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება ინდივიდუალური ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები გარდა გუდილისა მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვის გაუქმების მიზნით.

2.5 წარდგენის ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის

სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

2.7 შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;

რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.8 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხზნამდე.

2.9 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე- 2.29 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები - მე-6 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელმწიფოებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული

უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მამინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.10 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.11 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას.

2.12 ფინანსური ვალდებულებები - შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.14 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ ყველა ძირითადი საშუალებები, ასახულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებულ ღირებულებას რომელიც შეფასების თარიღისათვის წარმოადგენს სამართლიან ღირებულებას აკლდება გადაფასების თარიღის შემდგომ დარიცხული ცვთა და გაუფასურება. მიწის შეფასება ხდება რეალური ღირებულებით და მას არ ერიცხება ცვთა. შეფასება რეგულარულად ტარდება იმის გადასამოწმებლად, რომ გადაფასებული ქონების რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანიის ქონება ბოლოს შეფასდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დამატებითი დეტალები წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

გადაფასების ნებისმიერი მეტობა კრედიტდება სხვა სრულ შემოსავლებში ჩართული და ჩართულია გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება მანამდე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ამავე აქტივის გადაფასების შედეგად მისი ოდენობის შემცირების შებრუნება. ამ შემთხვევაში მატების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც უშუალოდ გაქვითავს ამავე აქტივზე უწინ აღიარებულ მეტობას, პირდაპირ გაიქვითება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობიდან.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან წლიური გადატანა გაუნაწილებელ მოგებაზე ხდება აქტივის გადაფასებული საბალანსო ღირებულების ცვთასა და აქტივის თავდაპირველი ღირებულების ცვთას შორის სხვაობით. გაყიდვისას კონკრეტულ აქტივთან დაკავშირებული მთლიანი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც საჭიროების შემთხვევაში აკლდება გაუფასურების რეზერვი. მშენებლობის დასრულების შემდეგ აქტივები გადაიტანება საოფისე ან სხვა შენობებში მათი საბალანსო ღირებულებით. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვთა არ ხდება, სანამ აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არ იქნება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი სახსრებით შექმნილი აქტივების ასახვის დეტალები მოცემულია ახსნა-

განმარტებით შენიშვნა 2.27-ში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2020 წლის 31 დეკემბრის თარიღით ჩატარებული გადაფასების შემდეგ კომპანია იყენებს შემდეგ სასარგებლო მომსახურების ვადებს:

	სასარგებლო მომსახურების ვადები (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
ტრანსპორტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	10-15
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	7-15

2.15 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

თავდაპირველად განისაზღვრება თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

2.16 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ქართული გადასახადის გადამხდელების უმრავლესობა, მათ შორის კომპანიაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, კომპანიის წლიური შედეგები არ განაპირობებს მოგების გადასახადის კუთხით მიმდინარე ან გადავადებული აქტივებისა თუ ვალდებულებების წარმოშობას.

2.17 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.18 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.19 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მიწუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილ ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

2.20 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპო-ზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების

დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.21 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებით.

2.22 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განიკეთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.23 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.24 უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარდგენის ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება, როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2.25 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განხორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.26 ურთიერთგადაფარვა.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.27 სახელმწიფოსაგან მიღებული მიზნობრივი სახსრები

მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ასიგნება

მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის მიღებული სახსრები აისახება პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სხვა მოგება-ზარალის მუხლში.

გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის, აღნაგობისა და რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი ასიგნება

ამ ტიპის ასიგნების ფარგლებში მიღებული სახსრები, ბასს 20-ის შესაბამისად, აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი, რომელიც დაფინანსების მიზნობრიობის დაკმაყოფილების კვალდაკვალ, მცირდება სათანადო თანხებით:

- საირიგაციო და დამხმარე ნაგებობის აღნაგობა, მოწყობა და სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (დაუმთრელებელი მშენებლობა) საანგარიშგებო პერიოდში კაპიტალიზირებული ღირებულებით სრულად, ვინაიდან ეს აქტივების

ისედაც ექვემდებარება ფაქტობრივად სრულ გაუფასურებას, კომპანიის საოპერაციო მოდელიდან გამომდინარე;

- შესყიდული მანქანა-დანადგარებისა და ავტომობილების საანგარიშგებო პერიოდის ცვლით.

2.28 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.29 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. „კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრისათვის აკუმულირებულმა და პერიოდის ზარალმა შეადგინა 878,871 და 28,510 ლარი, შესაბამისად. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დამფუძნებლის-სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებაზე. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანია ქვეყნის რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანესი რგოლია, მისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს მელიორაციის ინფრასტრუქტურაში სტრატეგიულ ინვესტიციებს, ამასთანავე, მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი დამფუძნებლის მხრიდან რამე სახის კომპანიასთან დაკავშირებულ რეორგანიზაციის გეგმებზე. ამ დაშვებათა გათვალისწინებით, კომპანია თვლის, რომ სახელმწიფო მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას და მხარდაჭერას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მომავალი შეუფერხებელი და მდგრადი ფუნქციონირება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

კომპანიის უძრავი ქონება. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ცალკეული უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის კომპანიის სახელზე საჯარო რეესტრში, არამედ იგი რეგისტრირებულია კომპანიის დამფუძნებლის-სახელმწიფოს სახელზე. აღნიშნული პრაქტიკა სახელმწიფოს მიერ 100 პროცენტი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში ხშირია. ფინანსურ ანგარიშგებაში ამ საკითხთან დაკავშირებით რაიმე სახის ანარიცხი შექმნილი არ არის, არც პირობითი ვალდებულებაა ასახული ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობა	ტრანსპორტი, მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	დასადგმელი მოწყობილობები	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	61,800	26,372	916	-	450	89,538
მატება / მარაგებიდან მიღებული ძირითადი საშუალებები	896	421	26	35,863	4,643	41,849
დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში	26,223	-	-	-	45	26,268
ჩამოწერა / მარაგებში გადატანა	(63)	(1,952)	(2)	-	-	(2,017)
რეკლასიფიკაცია	79	4,137	310	67	(4,492)	101
დამფუძნებლის მიერ კაპიტალიდან გატანა	(3,200)	(47)	(1)	45	-	(3,203)
გაუფასურება/ბასს-20-ის ფარგლებში ღირებულების შემცირება	(22,864)	-	-	(35,975)	-	(58,839)
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	62,871	28,931	1,249	-	646	93,697
შესყიდვა	-	83	60	35,848	6,325	42,316
მარაგებიდან მიღებული ძირითადი საშუალებები	126	36	-	1,016	-	1,178
დამფუძნებლის შენატანი კაპიტალში	21,113	223	-	-	-	21,336
ჩამოწერა	(21)	(2,353)	-	(6)	(103)	(2,483)
მარაგებში გადატანა	-	-	-	-	(140)	(140)
რეკლასიფიკაცია	266	5,796	127	(108)	(6,075)	6
დამფუძნებლის მიერ კაპიტალიდან გატანა	(4)	(21)	-	114	-	89
გაუფასურება/ბასს-20-ის ფარგლებში ღირებულების შემცირება	(20,396)	-	-	(36,864)	-	(57,260)
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	63,955	32,695	1,436	-	653	98,739
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2022	2,463	11,625	365	-	-	14,453
ცვეთის ხარჯი წლის	1,030	3,687	243	-	-	4,960
გასული აქტივის ცვეთა	(34)	(1,215)	(2)	-	-	(1,251)
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2023	3,459	14,097	606	-	-	18,162
ცვეთის ხარჯი წლის	992	3,287	266	-	-	4,545
გასული აქტივის ცვეთა	-	(1,877)	-	-	-	(1,877)
აკუმულირებული ცვეთა 31.12.2024	4,451	15,507	872	-	-	20,830
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	59,337	14,747	551	-	450	75,085
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023	59,412	14,834	643	-	646	75,535
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2024	59,504	17,188	564	-	653	77,909

2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უძრავი ქონება 2,806 და 2,817 ლარის საბალანსო ღირებულებით შესაბამისად, ჩადებულია სასამართლო დავების უზრუნველყოფის მიზნით.

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აქტივების ყველა ჯგუფის უკანასკნელი გადაფასება განხორციელებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროფესიონალური შემფასებლის მიერ. ჯგუფების მიხედვით შეფასებისას გამოყენებული ფასს 13 შესაბამისად ამოსავალი მონაცემების დეტალები მოცემულია ქვევით:

- მე-2 დონის ამოსავალი მონაცემები წარმოადგენს (აქტიური ბაზრის კორექტირებული დაკვირვებადი ფასები); დაკვირვებადი საბაზრო ფასები დაკორექტირებული აქტივების სპეციფიკური თვისების გათვალისწინებით ფართი, წლოვანება, ადგილმდებარეობა და ა.შ..
- მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები - არაემპირიული მონაცემები, რომლებიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე. ამ სახის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩათვლილი იყო სპეციალიზირებულ აქტივებად და მათი შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული იყო ეგრეთ წოდებული „ამორტიზირებული ჩანაცვლების თვითღირებულების მეთოდი“, შეფასების პროცესი მოიცავდა ამ აქტივების ეკონომიური ცვეთის (გაუფასურების ტესტირებას) გაანგარიშებას. ეკონომიური ცვეთის გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ კომპანიის შემოსავლები, ფულის მაგენერირებელი ერთეულის მიხედვით (კომპანია განხილულია როგორც ერთი მაგენერირებელი ერთეული), ვერ უზრუნველყოფდა სპეციალიზირებული აქტივების ეკონომიურ ცვეთამდე შეფასებული ღირებულების ამოღებადობას, შედეგად, ყველა ასეთი აქტივი საბოლოოდ შეფასდა მათი სალიკვიდაციო ღირებულების საფუძველზე.

პერიოდებს შორის შეფასების ტექნიკაში მომხდარი ცვლილება ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. ვინაიდან კომპანიის სპეციალიზირებული აქტივები ეკონომიური ცვეთით გაუფასურებული აქტივებია მათი ისტორიული ნარჩენი ღირებულება და საბაზრო ღირებულებები თავვედრამია ერთმანეთთან. რაც შეეხება არასპეციალიზირებულ აქტივებს მათი საბალანსო ღირებულებების ცხრილი მოცემულია ქვევით:

გამოყენებული მეთოდი (2020 წლის 31 დეკემბრისათვის)	მიწა და შენობა-ნაგებობა	ტრანსპორტი და მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	კომპიუტერი ტექნიკა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	ლაუზმთავრებელი მშენებლობა	დასაღმწეო მოწყობილობები	სულ
საბაზრო მეთოდი	28,231	21,436	1,000	-	441	51,108
დანახარჯების მეთოდი (სალიკვიდაციო ღირებულება)	2,980	268	-	-	-	3,249
სულ	31,211	21,704	1,000	-	441	54,356

4. გადახდილი გრძელვადიანი ავანსები

	31.12.2024	31.12.2023
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	6,375	13,222
ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გადახდილი გრძელვადიანი ავანსების გადაფასების რეზერვი	(958)	(958)
სულ გადახდილი გრძელვადიანი ავანსები	5,417	12,264

რეზერვის მოძრაობა

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	958	958
რეზერვის კორექტირება	-	-
31 დეკემბრის მიხედვით	958	958

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023
ნედლეული და მასალები	6,269	4,658
სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვი	(910)	(910)
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	5,359	3,748

6. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	7,071	5,830
საექვო ვალების რეზერვი	(6,547)	(5,218)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ნეტო)	524	612

საექვო ვალების რეზერვის მოძრაობა

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	5,218	3,521
რეზერვის კორექტირება	1,329	1,697
31 დეკემბრის მიხედვით	6,547	5,218

7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31.12.2024	31.12.2023
სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი გადასახადები	2,587	2,909
გადახდილი ავანსები	48	44
გადახდილი ავანსების რეზერვი	(32)	(32)
მომწოდებლებზე დარიცხული საპირგასამტეხლო	3,273	3,163
სხვა მოთხოვნები	100	100
მომწოდებლებზე დარიცხული საპირგასამტეხლო და სხვა რეზერვი	(2,151)	(2,151)
სულ გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	3,825	4,033

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსების რეზერვის მოძრაობა

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	32	32
რეზერვის გამოყენება	-	-
31 დეკემბრის მიხედვით	32	32

მომწოდებლებზე დარიცხული საპირგასამტეხლო და სხვა რეზერვი:

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვრის მდგომარეობით	2,151	2,121
რეზერვის კორექტირება	-	30
31 დეკემბრის მიხედვით	2,151	2,151

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	29,756	34,579
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	1,868	1,394
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	31,624	35,973

9. სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი სახსრები

	2024	2023
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის, შექმნისა და რეაბილიტაციისათვის:		
<i>ნაშთი პერიოდის დასაწყისში</i>	<i>56,086</i>	<i>40,795</i>
მიღებული დაფინანსება (გრანტი)	37,000	48,500
გრანტის გამოყენება - გაუფასურებას დაქვემდებარებული აქტივების შექმნა	(36,863)	(35,975)
გრანტის გამოყენება - შესყიდული აქტივების ცვეთა	(1,288)	(2,553)
მიზნობრივი დაფინანსების წყაროების კორექტირება	-	5,319
<i>ნაშთი პერიოდის ბოლოს</i>	<i>54,935</i>	<i>56,086</i>
მიმდინარე ხარჯების დაფინანსება		
მიღებული დაფინანსება (გრანტი)	25,000	28,500
სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარება	(25,000)	(28,500)
	-	-
სულ	54,935	56,086

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	1,736	2,728
ძირითადი საშუალებების მომწოდებლების მიმართ დავალიანება	2,640	2,586
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	645	1,217
გადასახდელი ხელფასები	140	127
სხვა ვალდებულებები	120	122
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,281	6,780

11. ანარიცხები

	31.12.2024	31.12.2023
სასამართლო დავების ანარიცხები	424	356
საგადასახადო ანარიცხები	474	474
სულ ანარიცხები	898	830

12. მოკლევადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსთა სამინისტროსგან მიღებული სესხის ძირი	5,158	5,158
გადასახდელი პირგასამტეხლო	7,394	6,627
გადასახდელი პროცენტი	704	704
სულ მოკლევადიანი სესხი	13,256	12,489

კომპანიის სესხები წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ სესხს და დენომინირებულია ქართულ ლარში. სესხი სრული ოდენობით ვადაგასული და დეფოლტირებულია სესხი წარმოდგენილია გადაუხდელ თანხებს პროცენტი არ ერიცხება, მხოლოდ ყოველი დავკვიანებული დღისთვის გამოიყენება ჯარიმა 0,07%. სესხები

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადაცემულია აღსრულებაზე, თუმცა კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ვალის პატიების თაობაზე.

13. ამონაგები

შემოსავალი რეალიზაციიდან 2024 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
სამელიორაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	4,578
ჰესებზე მიწოდებული წყლის რესურსებით მიღებული შემოსავალი	2,111
წყლის მიწოდების მომსახურებით მიღებული შემოსავალი	301
ტუმბო აგრეგატით და სატუმბი სადგურით მომსახურება	6
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	6,996
გრძელვადიანი	-
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	6,996
დროთა განმავლობაში	-
სულ ამონაგები	6,996

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქართველოში გაწეული მომსახურება
საქონლის და მომსახურების სახეები	
სამელიორაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	4,891
ჰესებზე მიწოდებული წყლის რესურსებით მიღებული შემოსავალი	1,176
წყლის მიწოდების მომსახურებით მიღებული შემოსავალი	289
ტუმბო აგრეგატით და სატუმბი სადგურით მომსახურება	5
ხელშერკულების ხანგრძლივობა	
მოკლევადიანი	6,361
გრძელვადიანი	-
საქონლის და მომსახურების გადაცემის ვადები	
დროის გარკვეულ მომენტში	6,361
დროთა განმავლობაში	-
სულ ამონაგები	6,361

14. ფინანსური შემოსავალი (ნეტო)

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
პირგასამტეხლოს პატიება	(767)	(765)
საპროცენტო შემოსავალი	3,660	4,107
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	71	27
სულ ფინანსური შემოსავალი (ნეტო)	2,964	3,369

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. სხვა მოგება (ნეტო)

	2024	2023
სუბსიდიები	25,000	28,500
ჯარიმიდან მიღებული შემოსავალი	779	317
საიჯარო შემოსავალი	35	53
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი) ნეტო	995	1,168
ძირითადი საშუალებების ჩამოფასების შედეგი	(20,517)	(28,253)
სხვა მოგება (ნეტო)	1,688	1,503
სულ	7,980	3,288

16. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	2024	2023
გადავადებული შემოსავლის ნაშთი პერიოდის დასაწყისში (9)	56,086	40,795
გადავადებული შემოსავლის ნაშთი პერიოდის ბოლოს (9)	54,935	56,086
სულ ცვლილება გადავადებულ შემოსავლებში	(1,151)	15,291
მიღებული დაფინანსება (გრანტი) - მიმდინარე ხარჯებისათვის	25,000	28,500
მიღებული დაფინანსება (გრანტი) - გრძელვადიანი აქტივებისათვის	37,000	48,500
სულ მიზნობრივი დაფინანსებით მიღებული ფული	62,000	77,000
მიმდინარე ხარჯებისათვის მიღებული თანხების ათვისება	(25,000)	(28,500)
შესაბამისი გრძელვადიანი აქტივებისათვის გახარჯული ფული	(44,459)	(50,916)
სულ მიზნობრივი დაფინანსების ათვისებაზე გადახდილი ფული	(69,459)	(79,416)
დღგ-ს წილი გადახდებში, რომელიც ექვემდებარება დაბრუნება/ჩათვლას	6,616	7,346
მიზნობრივი დაფინანსების წყაროების კორექტირება	282	5,319
შესაბამისი აქტივების ცვეთა	1,288	2,553
მშენებლობაზე კაპიტალიზირებული თანხები საკუთარი წყაროებიდან	-	179
ცვლილებები აქტივებსა და ვალდებულებებში (ავანსები, დაკავებები, ა.შ.)	(1,878)	2,310
	(1,151)	15,291

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

18. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე სისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	524	612
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები და დეპოზიტები	31,624	35,973
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	32,148	36,585

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის შეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიას შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. კომპანიას არ აქვს შიდა საკრედიტო სარეიტინგო სისტემა თავისი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საკრედიტო ხარისხის შესაფასებლად და საკრედიტო რისკს აფასებს ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექსპო ვალების რეზერვი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

2024 წლის 31 დეკემბრისათვის	მიმდ.	3 ა დ ა გ ა დ ა ც ი ლ ე ბ ა (თვეებში)					ჯამი
		3 -მდე	3-6 -მდე	6-9 -მდე	9-12 -მდე	>12	
სავაჭრო დებიტორები	47	2,526	138	10	109	4,240	7,071
საბანკო ნაშთები	31,624	-	-	-	-	-	31,624
სულ ფინანსური აქტივები	31,671	2,526	138	10	109	4,240	38,695
გაუფასურების რეზერვები	-	(2,139)	(54)	(5)	(109)	(4,240)	(6,547)
ნეტო ფინანსური აქტივები	31,671	387	84	5	-	-	32,148

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2023 წლის 31 დეკემბრისათვის	მიმდ.	ვ ა ღ ა გ ა დ ა ც ი ლ ე ბ ა (თვეებში)					ჯამი
		3 -მდე	3-6 -მდე	6-9 -მდე	9-12 -მდე	>12	
სავაჭრო დებიტორები	39	2,083	114	8	90	3,496	5,830
საბანკო ნაშთები	35,973	-	-	-	-	-	35,973
სულ ფინანსური აქტივები	36,012	2,083	114	8	90	3,496	41,803
გაუფასურების რეზერვები	-	(1,701)	(43)	(4)	(90)	(3,380)	(5,218)
ნეტო ფინანსური აქტივები	36,012	382	71	4	-	116	36,585

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს ამ რისკისადმი დაქვემდებარების შეზღუდვებს ვალუტის მიხედვით და მთლიანად. ამ მხრივ მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	დოლარი ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	29,756	1,868	31,624
დებიტორული დავალიანება	524	-	524
სულ ფინანსური აქტივები	30,280	1,868	32,148
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	1,736	-	1,736
მოკლევადიანი სესხები	13,256	-	13,256
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,992	-	14,992
ნეტო პოზიცია	15,288	1,868	17,156

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	დოლარი ლარში	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	34,579	1,394	35,973
დებიტორული დავალიანება	612	-	612
სულ ფინანსური აქტივები	35,191	1,394	36,585
ფინანსური ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	2,728	-	2,728
მოკლევადიანი სესხები	12,489	-	12,489
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,217	-	15,217
ნეტო პოზიცია	19,974	1,394	21,368

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის მგრძნობელობა სავალუტო განაკვეთების გონივრულად შესაძლო ცვლილებების მიმართ (საკუთარი კაპიტალზე ამგვარის გავლენა ნულია), ყველა სხვა ცვლადი უცვლელია:

	31.12.2024	31.12.2023
დოლარის გამყარება 20%-ით	374	279
დოლარის დასუსტება 20%-ით	(374)	(279)

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის 2024 და 2023 წლის ბოლოს არ გააჩნია სესხები რომელსაც ერიცხება პროცენტი, ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს.

ლიკვიდურობის რისკის მართვა. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია იყენებს სახელმწიფო სუბსიდირებას რათა მოახდინოს ლიკვიდურობის რისკის მინიმიზაცია.

ლიკვიდურობის რისკი - კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს მოთხოვნამდე და 1 წლამდე ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომლის უზრუნველყოფას კომპანია უმთავრესად გეგმავს საოპერაციო ფულადი ნაკადებით და სახელმწიფოსგან მიღებული სხვა და სხვა სახის დაფინანსებით.

19. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა მეწილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა ცვლილება შეიტანოს საწესდებ კაპიტალი, მოითხოვოს და მიიღოს მიზნობრივი დაფინანსება და გრანტები. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

20. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

21. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	524
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	31,624
სულ ფინანსური აქტივები	32,148

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში	
აქტივები	
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	612
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	35,973
სულ ფინანსური აქტივები	36,585

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ასახულია ამორტიზებული ღირებულებით.

22. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეფასებას და არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

დაკავშირებული მხარეები	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	345	309

2024 და 2023 წლის განმავლობაში დამფუძნებელთან მომხდარი მნიშვნელოვანი ოპერაციები ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიის კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნით სახელმწიფოსაგან დაბიუჯებული აქვს სუბსიდია 79 მლნ ლარი, ხოლო მიღებული აქვს 38 მლნ ლარი.

2025 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიის კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 931 200 ათასი ლარი.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 ივნისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მმართველობის ანგარიში

საქმიანობის მიმოხილვა

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის

თარიღი: 27.06.2025

შპს საქართველოს მელიორაცია (ს/კ 204524568) (შემდგომში - კომპანია) შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მფლობელობით. პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარდა წილების პრივატიზებისა და/ან განკარგვის უფლებამოსილებებისა, რასაც ახორციელებს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

კომპანიის წესდების მიხედვით კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- წილის მმართველი
- სამეთვალყურეო საბჭო
- გენერალური დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამელიორაციო მომსახურების განხორციელება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის N1-3/191 ბრძანების საფუძველზე მოხდა შპს „კოლხეთი-მ“-ის, შპს „ალაზანი-მ“-ისა და შპს „მტკვარი-მ“-ის შპს „სიონი-მ“-თან შერწყმა. ამავე ბრძანების საფუძველზე შპს „სიონი-მ“-ს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა - შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N2-101 ბრძანების საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „საქართველოს მელიორაცია“. საწესდებო კაპიტალი შერწყმის პერიოდისათვის განსაზღვრული იყო 375 749 995 ლარის ოდენობით. კომპანიის კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 924,437,975.00 ლარს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-937 ბრძანება 31.12.2024წ.). სასოფლო-სამეურნეო მიწის მაღალი ფრაგმენტაციისა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მაღალი ამორტიზაციის გამო, ქვეყანაში არსებობს ტერიტორიები, რომელთა საკმარისი სარწყავი წყლით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება და საჭიროა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. მიზანშეწონილია, მოსავლიანობის ზრდა და მაღალი ხარისხისა და ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანის წახალისება ირიგაციის ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც არის წვეთური და დაწვიმებითი მოწყობის სისტემები. საქართველოში უხვად არის წყლის რესურსი, თუმცა კლიმატური ცვლილებების უარყოფითი ტენდენცია თანდათან დეფიციტურს ხდის წყალს, როგორც რესურსს. აღნიშნულმა გარემოებამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ქვეყანაში წყლის რესურსების რეზერვების შექმნის მიზნით წყალსაცავების მშენებლობას.

მაგისტრალური არხებისა და გამანაწილებელი ქსელის ამორტიზაციის გამო ხშირად წყლის რეგულირება შემოიფარგლება წყლის გაშვება-გადაკეტვით და არხის შიგნით წყლის დონის მიახლოებითი რეგულირებით. ამასთან ერთად, წყალშოში მოწყობილობების არარსებობის გამო შეუძლებელია მონაცემებზე დაფუძნებული მართვის განხორციელება. მაგისტრალურ არხებზე მარეგულირებელი ნაგებობების ტექნიკური გაუმართაობის და წყლის არასათანადო აღრიცხვიანობის გამო გართულებულია მეორე რიგის არხებში წყლის ზუსტი რაოდენობის მიწოდება. შესაბამისად, სისტემების მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია ჰიდრომეტრიული საგუმაგოების მოწყობა და მათი აღჭურვა თანამედროვე ელექტრონული წყალშოში ხელსაწყოებით, ასევე მონაცემთა შეგროვება-გადაცემის აპარატურის მონტაჟი, რომელიც რეალური დროის რეჟიმში გადასცემს ინფორმაციას რეაბილიტირებულ სისტემებში წყლის ხარჯის შესახებ. ამასთან ერთად, აუცილებელია მონაცემთა გადამამუშავებელი და გადაწყვეტილების მიღების ხელშემწყობი თანამედროვე სისტემების მოწყობა სისტემაზე და რეგიონულ დონეზე შეგროვებული ინფორმაციის გამოსაყენებლად და სისტემის ეფექტური მართვის განსახორციელებლად.

ამჟამად, კომპანიის მომსახურების არეალში ირიცხება 127 ერთეული სარწყავი სისტემა, რომელთა ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია აღმოსავლეთ საქართველოში. კომპანია ასევე ოპერირებს დამშრობი სისტემებით დასავლეთ საქართველოში. სარწყავ სისტემებში ფუნქციონირებს 15 ირიგაციული წყალსაცავი, 57 ერთეული სატუმბი სადგური, 35 კაშხლური სათავე ნაგებობა, ასეულობით კილომეტრი საექსპლუატაციო გზა, მრავალი საწარმოო და საოფისე დანიშნულების შენობა და სხვა სახის ნაგებობები. ირიგაციული დანიშნულების გარდა სარწყავი სისტემებით წყალი მიეწოდება თევზის წარმოებით დაკავებულ 157-მდე მეწარმეს, რომელთა თევზსაშენი ტბორები მოწყობილია დაახლოებით 2,000 ჰა-ზე. საირიგაციო სისტემებზე მოწყობილია 24 სხვადასხვა

სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგური. კომპანიის ინფრასტრუქტურაზე განთავსებული ჰესების საერთო დადგმული სიმძლავრე 75 მეგავატს აღემატება.

სამელიორაციო სისტემების საექსპლუატაციო ღონისძიებები ითვალისწინებს პერიოდულად და ერთდროულად, ერთ კვანძზე ან უბანზე ისეთი სამუშაოების ჩატარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს სარწყავი და დამშრობი სისტემების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირება. ამას განაპირობებს მათზე მუდმივი ზედამხედველობა, მოვლა და სარემონტო სამუშაოების დროული ჩატარება. სისტემის სწორი ტექნიკური ექსპლუატაცია და კარგი მოვლა გამორიცხავს ავარიებს, მუშაობაში შეფერხებებს და მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს უდროოდ მწყობრიდან გამოსულ ნაგებობათა ცალკეული ნაწილების გამოცვლაზე. ამ ღონისძიებების განხორციელებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვას, რომელიც გულისხმობს: ტექნიკურ მდგომარეობასა და ფუნქციონირებაზე მეთვალყურეობის და დაცვის უზრუნველყოფას, ჰიდროტექნიკური მოწყობილობების, ფარების და მათი ამწე მექანიზმების შეზეთვას და შეღებვას, მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებში და მათზე არსებულ ნაგებობებზე წყლის ნაკადის მიერ მოტანილი, ან ბერმიდან არხში ჩაყრილი ნაგვისაგან პერიოდულ გაწმენდას, წყალმომხმარებელთა სამელიორაციო მომსახურებას, ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმებას. მნიშვნელოვანია სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ზედაპირულ რემონტს; მიმდინარე რემონტს; პერიოდულ-აღდგენით რემონტს; ავარიულ-აღდგენით რემონტს.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, რეგიონალური სამსახურების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სერვის ცენტრების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საერთო დანიშნულების არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ინფრასტრუქტურის მართვა, მათ გამართულ მდგომარეობაში შენახვა, სწორად გამოყენება და წყალმომხმარებელთა შორის წყლის განაწილება, სამელიორაციო მომსახურების უზრუნველყოფა, რიგ შემთხვევებში შიდასამეურნეო ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებების გატარება. (მთავრობის განკარგულებით, კომპანიას უფლება მიეცა განახორციელოს შიდა სამეურნეო არხების საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები).

საქართველოს მელიორაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას აქვს სამი დონე: მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო რეგიონულ დონეზე წარმოდგენილია ოთხი ოფისი და 19 სერვის ცენტრი.

მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კომპანიაში შექმნილია ოთხი რეგიონალური სამსახური, რომლებიც ექვემდებარებიან კომპანიის აპარატში შექმნილ საექსპლუატაციო ღონისძიებებისა და კომერციის დეპარტამენტებს და საქმიანობას ეწევიან მათი უშუალო ხელმძღვანელობით. რეგიონალური სამსახურების დაქვემდებარებაშია შესაბამისი სერვის ცენტრები. ისინი ჩამოყალიბებული არიან სამელიორაციო სისტემების ან მდინარეთა აუზების მიხედვით. თითოეულ სერვის ცენტრს ჰყავს პერსონალი, აქვს თავისი შენობა, ტრანსპორტი და ტექნიკა. სარწყავი და დამშრობი სისტემების მრავალსახოვანი მეურნეობა საჭიროებს სისტემატურ მოვლა-პატრონობას და ნაგებობების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვას.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 1,717 თანამშრომელს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპანია ღიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა უსაფრთხოებას და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, შესაბამისად კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს თანამშრომელთა აღჭურვას თანამედროვე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ხელსაწყო-მოწყობილობებით, უზრუნველყოფს მათ ელექტრო უსაფრთხოების ტრენინგით, შესაბამისი ჯგუფის მინიჭებით და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაზღვევით. გარდა ამისა, კომპანია დასაქმებულთა ოპტიმიზაციის კუთხით პერიოდულად ახორციელებს საკადრო რეორგანიზაციას, რის მიზანსაც კომპანიის ადამიანური რესურსების კუთხით წარმოქმნილი საჭიროებების უკეთ გამოვლენა და დაკმაყოფილება, თანამშრომლების ეფექტიანი მართვა და წახალისება წარმოადგენს.

ბიზნესის მოდელის მოკლე მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის მიზანია:

- სამელიორაციო მომსახურების არეალის გაზრდა და მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების მინიმუმამდე შემცირება;
- ფინანსურად მდგრად ორგანიზაციად ჩამოყალიბება.

კომპანიის მისია და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

- ფერმერთა შემოსავლების და დასაქმების შესაძლებლობის ზრდა;
- სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

კომპანიის სამოქმედო არეალი და ინფრასტრუქტურის მასშტაბები საკმაოდ ვრცელია - კომპანია მომსახურებას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო მომხმარებლები არიან - ფერმერები, ჰიდროელექტროსადგურები, საწარმოები, სხვა წყალმომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირები. შესაბამისად, კომპანიის შემოსავლების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ შემადგენლებს:

- საირიგაციო წყლის მიწოდება;
- სადრენაჟე მომსახურების გაწევა;
- ტბორებისთვის წყლის მიწოდება;
- საწარმოებისთვის წყლის მიწოდება (ტექნიკური წყალი);
- ჰიდროელექტრო სადგურებისთვის წყლის მიწოდება;

ირიგაციიდან, ჰესებიდან და საწარმოებისთვის ტექნიკური დანიშნულებით წყლის მიწოდებიდან მიღებული შემოსავლები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ. საირიგაციო მომსახურების დარიცხვა ხასიათდება მაღალი სეზონურობის მოდელით, 4-დან 8 თვემდე აქტიური სეზონით. ტბორებიდან შემოსავალი იანგარიშება თევზსაშენის ფართობის მიხედვით და ირიგაციასთან შედარებით თევზის მეურნეობის ტარიფი უფრო მაღალია. ჰესებიდან შემოსავალსა და საწარმოებისთვის ტექნიკური დანიშნულებით წყლის მიწოდების სერვისებს ახასიათებს ძლიერი სეზონურობის მოდელი.

მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე მიმართულებით:

- წყლის რესურსის ხარჯის აღრიცხვის სიზუსტის ამაღლება;
- დანახარჯთა ცენტრების დადგენა საირიგაციო სისტემების მიხედვით;
- დადგენილი დანახარჯის ცენტრების მიხედვით შესაბამისი შემოსავლის ცენტრების ჩამოყალიბება წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების სახით;
- ტარიფთან დაკავშირებული ცვლილებების გატარება.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, უნდა აისახოს სამელიორაციო მომსახურების ტარიფებში. ამჟამად მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 1 თებერვლის #2 დადგენილებით დამტკიცებული სამელიორაციო მომსახურების საფასური. ის შეადგენს 75 ლარს წელიწადში ერთ ჰექტრის მორწყვაზე აღმოსავლეთ საქართველოში და 45 ლარს - დასავლეთ საქართველოში დღგ-ს ჩათვლით. მოცემული ტარიფი პირობითია და დაახლოებითაც არ ასახავს ფაქტიურად გაწეულ ხარჯებს. საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის და შესაბამისად წყალუზრუნველყოფილი ფართობების ზრდის პარალელურად საჭიროა განისაზღვროს ახალი ტარიფები. ამასთან დაკავშირებით კომპანიის სატარიფო პოლიტიკა მოქცეულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) რეგულირების სფეროში.

სემეკის მიერ ირიგაციის დარგის რეგულირების ფორმატში შემუშავებულ იქნა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი - „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“ და „პირველადი წყალმოსარგებლის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია“. საირიგაციო წყლის მიწოდების წესების ეტაპობრივი ამოქმედება დაწყებულია 2024 წლის იანვრიდან, ხოლო წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად განახლებული ტარიფების ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2026 წლიდან. კომისიის მიერ რეგულირების ნაწილში კომპანია აქტიურად თანამშრომლობს სემეკ-თან და ჩართულია სხვადასხვა თემატურ განხილვებში.

საოპერაციო არეალებთან და მომსახურე ქსელთან დაკავშირებით კომპანიაში დაწყებულია ველზე გასვლითი

ინვენტარიზაციის პროცესი, რამაც უნდა დააზუსტოს და სისტემატიზაცია გაუკეთოს სარწყავი ფართობების საირიგაციო ქსელთან მიერთების პროცესი.

მომხმარებლების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირების და მათი ახალი ბილინგის სისტემაში ინტეგრირებულ რუკაზე ასახვის შემდეგ, შესაძლებელი გახდება წყლის რესურსის მოთხოვნის მოცულობების ანალიზი ცალკეული სარწყავი სისტემის სხვადასხვა მონაკვეთებისთვის. ხოლო სარწყავი სისტემის ქსელის ამავე რუკაზე ასახვამ კომპანიას შესაძლებლობა უნდა მისცეს წყლის რესურსის მიწოდების მოცულობების ანალიზისა.

2025 წელს დაგეგმილი ღონისძიებები

წყლის მართვის გაუმჯობესება/უსაფრთხოება/რეგულირება

- სამელიორაციო სისტემებზე სარეაბილიტაციო ობიექტების პრიორიტეტული პროექტების ეტაპობრივი განხორციელება.
- წყლის მართვის გაუმჯობესება (წყალაღება, განაწილება, მიწოდება, აღრიცხვა (მრიცხველების დამონტაჟება).
- ქვემო სამგორის ლოკაციაზე შერჩეულ ფერმერთა ჯგუფზე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების დასკვნითი ფაზების განხორციელება.
- კაშხლების უსაფრთხოების სისტემების დანერგვა/განვითარება.
- სატარიფო რეფორმის განხორციელებისთვის დაინტერესებულ მხარეებთან (სემეკი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) კომუნიკაციის და მსჯელობების გაგრძელება. ასევე საკითხისთვის აუცილებელი ინფორმაციული ბაზის მობილიზება.

კომპანიის მართვის გაუმჯობესება

- სამელიორაციო მომსახურებაზე კონტრაქტების გაფორმების, ბილინგისა და მონიტორინგის პროცედურების სრულყოფა.
- მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, ქონების ინვენტარიზაცია/გადაფასება.
- არაპროფილური უძრავი ქონების ან/და ნაკლებად დატვირთული ტექნიკის და სხვა მოძრავი საშუალებების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება.
- კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად ხარჯების ოპტიმიზაცია და მართვის გაუმჯობესება.
- შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა/განვითარება.
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

რისკების ანალიზი

კომპანია ფუნქციონირებს გარემოში, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის თანმდევ რისკებზე, შესაბამისად, რისკის მართვა ითვალისწინებს ამ გარემოს სპეციფიკას. შიდა რისკს წარმოადგენს დაწესებულების შიდა რესურსების შედეგად წარმოქმნილი რისკი, ხოლო გარე რისკს წარმოადგენს გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი რისკი. რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა ან გარე ფაქტორით გამოწვეული, ასევე ორივე ფაქტორის ზემოქმედებით. ანალიზის შედეგად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურების მიერ შემუშავებული წინადადებები წარედგინება ადმინისტრაციას რისკის მართვის ღონისძიებების გასატარებლად სხვადასხვა მიმართულებით:

- მმართველობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები და ანგარიშვალდებულებების ფარგლები;
- დაწესებულების შესაძლებლობები რესურსებისა და ცოდნის თვალსაზრისით (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, დაწესებულების კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა);
- ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციის მოძრაობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
- სახელმშეკრულებო ურთიერთობების ფორმა და მოცულობა.

რისკების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ტარდება საპასუხო ღონისძიებები, რომელიც მოიცავს რისკის კონტროლს, თუმცა ამასთან ერთად გვხვდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა რისკის თავიდან აცილება, რისკის გაზიარება, რისკის დაფინანსება (მაგალითად მოძრავი ძირ. საშუალებების დაზღვევა) და სხვა. ძირითადი

აქცენტი გადატანილია ფინანსურ, ოპერაციულ და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკი შედგება საბაზრო რისკის (მათ შორის სავალუტო რისკები, საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკები, ფასების რისკები და სხვა), საკრედიტო რისკის და ლიკვიდურობის რისკისგან. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების ამ ლიმიტებში შენარჩუნება. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციებია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება, რათა შემცირებული იქნას ოპერაციული და სამართლებრივი რისკები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე, თავისი ვალდებულებების შესრულებლობით, გამოიწვევს მეორე მხარისთვის ზარალის მიყენებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა კომპანიის პროდუქტების კრედიტის პირობებით გაყიდვებიდან და მეორე მხარესთან სხვა სახის ტრანზაქციებიდან. კომპანიას არა აქვს საკრედიტო რისკების კონცენტრაცია, რადგან მისაღები ბალანსების ძირითადი ნაწილი წარმოებულია ფერმერებისგან და განაწილებულია სხვადასხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე. კომპანიის მომსახურების ტარიფის სიმცირის გამო, საწარმო ყოველწლიურად იღებს სახელმწიფოსგან სუბსიდიას საოპერაციო ხარჯების დეფიციტის შესავსებად. თუმცა განახლებული ტარიფების ამოქმედების შემდგომ მოსალოდნელია ამგვარი სუბსიდირების შემცირება და ტარიფების ზრდა. ეს გარემოება მიუთითებს, რომ მომავალში შესაძლოა საკრედიტო რისკის მნიშვნელობამ მოიმატოს.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკები წარმოიშობა ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთების მატარებელ აქტივებსა და ვალდებულებებზე და (გ) სააქციო პროდუქტებზე, რომელთაგან ყველა მათგანი იმყოფება ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო მოძრაობების წინაშე. საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებებს ფაქტორში, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ამის მოხდენა ნაკლებად არის მოსალოდნელი და ცვლილებები ზოგიერთ ფაქტორში შეიძლება იყოს ურთიერთდაკავშირებული - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებსა და უცხოური ვალუტის კურსებში, აისახება მარაგების და სახვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესყიდვის ფასთა ცვლილებებში.

სავალუტო რისკი. კომპანია არ იმყოფება სავალუტო რისკის ქვეშ, რადგან ყველა არსებითი სავალუტო აქტივი და ვალდებულება გამოხატულია ქართულ ლარში. სავალუტო რისკებთან მიმართებაში ხელმძღვანელობა ახორციელებს თანხების მიიღებას და გაანაწილებას ადგილობრივ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც კომპანიას გაუჭირდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკის მართვა ხდება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობა ახდენს კომპანიის ფულადი ნაკადების წლიური პროგნოზების მართვის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება პარტიორის მხრიდან საოპერაციო ხარჯების სუბსიდირების მექანიზმისგან, კაპიტალური (საინვესტიციო) დანიშნულების ფინანსების მობილიზებისგან (მთავრობის შესაბამისი განკარგულებით) და კომპანიის საოპერაციო საქმიანობის განხორციელებით გენერირებული ფულადი შემოდენებებისგან. კომპანია ახორციელებს გამოყოფილი დაფინანსების ინვესტირებას გრძელვადიანი აქტივების რეაბილიტაციის და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოებში, რათა უზასუხოს ბაზარზე არსებულ გამოწვევებს საოპერაციო საქმიანობის გასახორციელებად. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფოლიო შედგება ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან, რათა მზად იყოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კომპანია წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელობის ფუნქციონირებად საწარმოს და ლიკვიდურობის რისკის დაზღვევის მთავარ გარანტს წარმოადგენს სახელმწიფო (პარტნიორი).

პერსონალის ჯანმრთელობა - კომპანია აზღვევს პერსონალის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ზედამხედველობას შრომის უსაფრთხოებაზე ახორციელებს კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია სერთიფიცირებული თანამშრომლებით.

პერსონალის არაკეთილსინდისიერად ან გაუფრთხილებლად მოქმედებით გამოწვეული ზიანი - პირველ ყოვლისა, კომპანიის ინტერესები დაცულია სახელმწიფოებო ურთიერთობებით. გარდა ამისა, კომპანიაში არსებობს შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რომელიც შესაბამისი პროცედურებითა და ინსტრუქციებით კომპატენციის ფარგლებში ახორციელებს ქმედებებს ამ მიმართულებით.

მაღალკვალიფიციური პერსონალის გადინება - კომპანია ცდილობს კონკურენტუნარიანი შრომის ანაზღაურების და კარგი სამუშაო პირობების შეთავაზებით უზრუნველყოს კადრების შენარჩუნება, ამასთან ერთად მუდმივად მიმდინარეობს ახალი პერსონალის სწავლება და ძველის გადამზადება.

სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი - კომპანიას დაზღვეული აქვს ავტომობილები, ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებულია GPS მოწყობილობები, რაც საშუალებას

იძლევა მუდმივ რეჟიმში გაკონტროლდეს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და საწვავის მოხმარება.

ფორს-მაჟორი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორს-მაჟორის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

მიღებულ სამუშაოებსა და საქონელში ფარული ხარვეზის არსებობის რისკი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტებულ ინსპექტირების ჯგუფს, საქონელსა და მომსახურებაზე გონივრულ საგარანტიო პერიოდს, გარდა ამისა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში ხდება აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად თანხის დარეზერვება ან საბანკო გარანტიის მოთხოვნა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების რისკი - ვადაგადაცილების ან სამუშაო შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციები.

ავანსი - ავანსის გადახდა ხდება მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის საფუძველზე.

წლიური ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებლების ანალიზი:

შემოსავლები და ხარჯები:

2024 წელს კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლებმა (დარიცხული სიდიდე) შეადგინა 6.99 მლნ ლარი, რომელშიც მნიშვნელოვან წილს საირიგაციო სერვისიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. აღნიშნული სიდიდის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია გახსნილია კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (შენიშვნა #13).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, კომპანია ყოველწიურად იღებს სუბსიდიას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. ამ მიზნით 2024 წელს ორგანიზაციამ მიიღო 28.5 მლნ ლარის ფინანსური რესურსი, რაც შესაბამისი პერიოდის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სრული შემოსავლის ანგარიშგების“ ერთ-ერთ მუხლში - სხვა მოგება (ნეტო)“. კომპანიის არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემები გაცხადებულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნების #15 ნაწილში. ამავე ნაწილში ასახულია ძირითადი საშუალებების ჩამოფასების თანხის სიდიდე 20.52 მლნ ლარის ოდენობით. საოპერაციო ხარჯების კიდევ ერთი მსხვილი მუხლი ეთმობა შრომის ანაზღაურებისა და თანამშრომელთა სხვა საერთო ბენეფიტების ჩანართს, რომელიც 2024 წლის მონაცემებით შეადგენს 25.99 მლნ ლარს. ამ ნაწილში შედის კომპანიის ყველა რგოლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც გადანაწილებული არიან მთელი საქართველოს მასშტაბით შპს საქართველოს მელიორაციის სრულ ინფრასტრუქტურაზე.

ყოველივეს გათვალისწინებით, კომპანიამ 2024 საანგარიშგებო პერიოდი დაასრულა 28.51 მლნ ლარის ოდენობის ზარალით.

მმართველობის ანგარიში დამტკიცებულია წარსადგენად 2025 წლის 27 ივნისს:

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი

იძლევა მუდმივ რეჟიმში გაკონტროლდეს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა და საწვავის მოხმარება.

ფორს-მაჟორი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორს-მაჟორის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

მიღებულ სამუშაოებსა და საქონელში ფარული ხარვეზის არსებობის რისკი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დაკომპლექტებულ ინსპექტირების ჯგუფს, საქონელსა და მომსახურებაზე გონივრულ საგარანტიო პერიოდს, გარდა ამისა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში ხდება აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად თანხის დარეზერვება ან საბანკო გარანტიის მოთხოვნა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების რისკი - ვადაგადაცილების ან სამუშაო შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

ავანსი - ავანსის გადახდა ხდება მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი გარანტიის საფუძველზე.

წლიური ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების 2024 წლის მაჩვენებლების ანალიზი:

შემოსავლები და ხარჯები:

2024 წელს კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლებმა (დარიცხული სიდიდე) შეადგინა 6.99 მლნ ლარი, რომელშიც მნიშვნელოვან წილს საირიგაციო სერვისიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. აღნიშნული სიდიდის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია გახსნილია კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში (შენიშვნა #13).

როგორც ზემოთაც აღინიშნა, კომპანია ყოველწიურად იღებს სუბსიდიას საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. ამ მიზნით 2024 წელს ორგანიზაციამ მიიღო 28.5 მლნ ლარის ფინანსური რესურსი, რაც შესაბამისი პერიოდის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია „სრული შემოსავლის ანგარიშგების“ ერთ-ერთ მუხლში - სხვა მოგება (ნეტო)“. კომპანიის არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ მონაცემები გაცხადებულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნების #15 ნაწილში. ამავე ნაწილში ასახულია ძირითადი საშუალებების ჩამოფასების თანხის სიდიდე 20.52 მლნ ლარის ოდენობით. საოპერაციო ხარჯების კიდევ ერთი მსხვილი მუხლი ეთმობა შრომის ანაზღაურებისა და თანამშრომელთა სხვა საერთო ბენეფიტების ჩანართს, რომელიც 2024 წლის მონაცემებით შეადგენს 25.99 მლნ ლარს. ამ ნაწილში შედის კომპანიის ყველა რგოლის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, რომლებიც გადანაწილებული არიან მთელი საქართველოს მასშტაბით შპს საქართველოს მელიორაციის სრულ ინფრასტრუქტურაზე.

ყოველივეს გათვალისწინებით, კომპანიამ 2024 საანგარიშგებო პერიოდი დაასრულა 28.51 მლნ ლარის ოდენობის ზარალით.

მმართველობის ანგარიში დამტკიცებულია წარსადგენად 2025 წლის 27 ივნისს:

ბნ. გიგლა თამაზაშვილი, გენერალური დირექტორი

ბნ. დავით ყოჩაშვილი, ფინანსური დირექტორი



